

საგამოცდო საკითხები გენეტიკაში
IV სემესტრის N13 მოდული „ორგანიზმი და ეკოსისტემა“

1. გენებისა და გარემოს ფარდობითი როლი კომპლექსური დაავადების განვითარებაში
2. ოჯახური აგრეგაცია და კორელაცია
3. კონკორდანტობა და დისკორდანტობა
4. გაუსის მრუდი
5. ნორმალური განაწილება
6. ტყუპების მეთოდი
7. შემთხვევა კონტროლის კვლევა
8. კომპლექსური დაავადებების მემკვიდრეობის მახასიათებლები
9. გენეტიკური ფაქტორებით გამოწვეული ფართოდ გავრცელებული მულტიფაქტორული დაავადებების მაგალითები
10. მულტიფაქტორული თანდაყოლილი მანკები
11. ნეიროფსიქიატრიული დაავადებები
12. კრონარული არტერიული დაავადება
13. დიგენური მემკვიდრეობა
14. გენებისა და გარემოს ურთიერთქმედება ვენური თრომბოზის დროს
15. პირველი ტიპის შაქრიანი დიაბეტი
16. ალცჰაიმერის დაავადება
17. გენეტიკური დაავადებების რისკის გამოთვლის მეთოდები
18. ჰარდი-ვაინბერგის კანონი
19. ალელებისა და გენოტიპების სიხშირე პოპულაციებში
20. ჰარდი-ვაინბერგის კანონის გამოყენება აუტოსომური და X-შეჭიდული დაავადებების მიმართ
21. ჰარდი-ვაინბერგის წონასწორობის ხელშემშლელი ფაქტორები
22. სტრატეფიკაცია
23. გამონაკლისი შემთხვევები დიდ პოპულაციაში თავისუფალი შეუღლების დროს
24. ალელების მუდივ სიხშირეზე მოქმედი ფაქტორები
25. გენეტიკური დაავადებების სიხშირეთა ეთნიკური განსხვავებები
26. დამფუძნებლის ეფექტი
27. გენთა დინება
28. ჰეტეროზიგოტების უპირატესობა
29. დრეიფი ჰეტეროზიგოტების უპირატესობის წინააღმდეგ
30. წინაპართა საინფორმაციო მარკერები
31. პოპულაციების გენეტიკა და რასები
32. პრენატალური დიაგნოსტიკის მეთოდები და ჩვენებები ინვაზიური და არაინვაზიური პრენატალური დიაგნოსტიკისათვის
33. პრენატალური სკრინინგი
34. ლაბორატორიული კვლევები პრენატალურ დიაგნოსტიკაში - ციტოგენეტიკური ანალიზები, ბიოქიმიური ანალიზები და ნაყოფის გენომის ანალიზი

35. პრენატალური გენეტიკური კონსულტაცია
36. პერსონალიზირებული მედიცინა
37. დაავადების მიმართ წინასწარგანწყობის სკრინინგი
38. გენეტიკური სკრინინგი პოპულაციებში
39. ახალშობილთა სკრინინგი
40. ჰეტეროზიგოტების სკრინინგი
41. ფარმაცოგენომიკა
42. მედიკამენტის გვერდითი მოვლენები
43. წამლის მეტაბოლიზმის ცვალებადობა
44. ციტოქრომ P-450-ის გენეტიკური ვარიანტები
45. გენეტიკურ ეპიდემიოლოგიაში გამოყენებული სტრატეგიები
46. პერსონალიზებული გენომური მედიცინა
47. ოჯახური ისტორია და რისკის შეფასება
48. გენეტიკური კონსულტაციის ჩვენებები
49. დაავადების განმეორების მართვა და განსაზღვრა
50. ფსიქოლოგიური ასპექტები
51. გენეტიკური კონსულტაცია კომპლექსური დაავადებების დროს და ახლონათესაური კავშირის შემთხვევაში
52. დიაგნოსტიკის მეთოდები - გენის პანელები, ეგზომის სექვენსირება; ვარიანტების ინტერპრეტაცია
53. ეთიკური და სოციალური საკითხები გენეტიკაში და გენომიკაში
54. ბიოსამედიცინო ეთიკის პრინციპები
55. ეთიკური დილემა სამედიცინო გენეტიკაში
56. გენეტიკური ინფორმაციის კონფიდენციალურობა

სანიმუშო ტესტები:

\\\\ ჩამოთვლილთაგან რომელი ტერმინი შეესაბამება, როდესაც ერთი ოჯახის ორ ბიოლოგიურად მონათესავე წევრს აქვს დაავადებისადმი ერთნაირი წინასწარგანწყობა და ერთი და იგივე დაავადება:

\\ კონკორდანტული;

\\ დისკორდანტული;

\\ გენოკოპია;

\\ ფენოკოპია.

\\\\ ჩამოთვლილიდან, რომელ კატეგორიას მიეკუთვნება ბიპოლარული დაავადება?

\\ სქესთან შეჭიდულს;

\\ ჰემიზიგოტურს;

\\ მულტიფაქტორულს;

\\ მოდიფიკაციურს.

\\\\ ჩამოთვლილთაგან რომელი მიზეზის გამო არ ქრება იშვიათი ალელი, რომლის მიხედვით ჰომოზიგოტურობა გენეტიკურად ლეტალურია?

\\ ახალი მუტაცია;

\\\\ ახლონათესაური კავშირი;

\\\\ დამფუძნებლის ეფექტი;

\\\\ შერჩევითი შეუღლება.

\\\\ 19 წლის მედიკოსი სტუდენტი გადის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის კურსს. მას აქვს აუტოსომურ-რეცესიული დაავადება - ფენილკეტონურია, რის გამოც მთელი სიცოცხლის განმავლობაში უნდა დაიცვას ბუნებრივი ცილით ღარიბი დიეტა, მიიღოს თიროზინის დანამატები და შეზღუდოს ფენილალანინის რაოდენობა. მან, ასევე, საკვებად არ უნდა გამოიყენოს ისეთი პროდუქტები, რომლებიც შეიცავს ხელოვნურ დამატკბობელს - ასპარტამს. ის გენეტიკის ერთ-ერთი ლექციის ბოლოს ეკითხება ლექტორს, თუ როგორი იქნება ალბათობა იმისა, რომ დაქორწინდეს ჰეტეროზიგოტ მამაკაცზე. თქვენ იცით, რომ ფენილკეტონურიის სიხშირე პოპულაციაში არის 1/10 000 ცოცხლადშობილი ახალშობილი. გამოიყენეთ ჰარდი-ვაინბერგის განტოლება, გამოთვალეთ მატარებლის სიხშირე და უპასუხეთ სტუდენტის შეკითხვას.

\\\\ 1/4;

\\\\ 1/14;

\\ 1/50;

\\\\ 1/250.

\\\\ რომელი დაავადების ნახვა არ არის შესაძლებელი პრენატალური ულტრასონოგრაფიის შედეგად?

\\\\ გაპოზილი ტუჩი და სასა;

\\\\ ანენცეფალია;

\\\\ პოლიდაქტილია;

\\ ფრაგილური X სინდრომი.